

# ՄՈՑՄՈՍԻՅԱԿՈ



№ 8

1929

ԶԻՆՈՒՄ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ



1929  
 ა ბ ვ ი ს ტ ო

საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური და ცდელ. მიუ-  
 რთუების და გან. სან. კომისარ. სოფ. აღმ. მთავარმაზ-  
 თველთმის ქერნალი შედარებითა და წმინდათა

წელიწადი II  
 № 8

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. აბხ. შაბრიციუსი	1
2. პიონერთა შერევისებების, —ლეჟი გ. შალვაშვილის	3
3. ამიერკავკასიის პიონერთა შერევა, —გიორგის	5
4. პატარას შიში, —ლეჟი გრიგოლ იკოშვილის	7
5. ჩვენ ქმები ვართ, —სეხმან ხერთაშვილის	9
6. წითელი სასადილო, —ლეჟი მარიკა მიქელაძის	15
7. მოიგო, —თარგ. რეზოსი	16
8. ტუის ჩივილი, —ლეჟი შოო მღვიმელის	18
9. ქარლი ციხე, —ნ. ცაგარლის	21
10. როგორ გადაიქცა კულტურა მფანე პიხინად	25
11. პატარა გოგონა და წითელი ჯარის მან- ვრები, —ალ. გორგაძის	28
12. ბანაკად ცხოვრება, —გამოღებული სევანის მიერ	31
13. ჩვენი სიმღერა, —მუსიკა გ. კოქელაძის —გარეკანზე	

ჩ ვ ე ნ ი ს ი მ ღ ე რ ა

მოვფრინავთ, მოგვაქვს ხალისი,  
 სიცილ-კისკისით თქვენშია!  
 არც ერთი შესაბრალოსი  
 არ იპოვება ჩვენშია!

მოვფრინავთ! მოგვაქვს ალაში,  
 როგორც მზე მომავლისა!  
 ასი ათასი სალაში  
 ასი ათასი თვალისა!

მოვფრინავთ, მოვრჩხარია,  
 შიკრიკნი გარჯა-შრომისა!  
 ჩვენში და-ძმურად არიან  
 შეილნი სხვადანსხვა ტომისა!

*Handwritten signature*



338.

## ამხ. ფაბრიციუსი

მანევრებზე მიეჩქარებოდა ამხ. ფაბრიციუსი, რომელიც თვითმფრინავის ავარიის დროს ტრადიკულად დაიღუპა. ამხ. ფაბრიციუსი დაიღუპა სამხედრო მოვა-

დების ასრულების დროს. მისი ცხოვრება და თავდადებული სამსახური საჩვენებელ მაგალითად უნდა დარჩეს ჩვენთვის.

როგორ ცხოვრობდა და გმირულად იბრძოდა ამხ. ფაბრიციუსი?

1920 წელს ის იბრძოდა პოლონეთის ფრონტზე, სადაც მან ნოვოგოროდგივესკამდე უკუაგდომტერი. პოლონეთთან ზავის შეკვრის დღეს იგი დასჭრეს. 1921 წელს ამხ. ფაბრიციუსი დანიშნეს კურსანტთა მე-43 შეერთებული სკოლის უფროსად და დასავლეთის ფრონტის უფროსად.

1921 წლის მარტში ფაბრიციუსს ირჩევენ რუსეთის კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე და იქიდან იგზავნება კრონშტადტის აჯანყების ჩასაქრობად. მიიღო ხელმძღვანელობა მე-501 ლეგიონისა და პირველი შეიქრა გმირულად კრონშტადტში.

1923 წელს ის იყო ხელმძღვანელი ბელორუსიის მე-2 ტერიტორიალური დივიზიისა, რის შემდეგ დაამთავრა უმაღლესი სამხედრო აკადემიის კურსები; კურსების დამთავრების შემდეგ დაინიშნა მე-17 კორპუსის უფროსად და კომისრად, შემდეგ კი მე-4 კორპუსის უფროსად.

1927 წლის ბოლოს ამხ. ფაბრიციუსი კვლავ უმაღლეს სამხედრო მიაველინეს უფროს მეთაურთა ცოდნის გაუმჯობესების კურსებზე, რის დამთავრების შემდეგ დაინიშნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის უფროსის თანაშემწედ. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე გეტაცებს ხელიდან მას მოულოდნელი სიკვდილი.

ამხ. ფაბრიციუსი ერთი იმ ოთხ გმირთაგანია, რომელნიც დაჯილდოებული არიან წითელი დროშის ოთხივე ორდენით; პირველი ორდენი მან მიიღო ქალაქ სკოვის აღებისათვის, მეორე—მორგონის პოზიციის გარღვევისათვის პოლონეთის საზღვარზე, მესამე—კროშტადტის აჯანყების ლიკვიდაციისათვის და მეოთხე—პოლონეთის ფრონტიდან უკან დახვევის დროს საარიერგარდო ბრძოლების წარჩინებით ჩატარებისათვის.

ამხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი დაიბადა 1877 წელს ქალაქ ვინდავაში (ლატვიაში), მუშის ოჯახში. რევოლუციონურ მოძრაობაში ძლიერ ახალგაზრდა ჩაება.

1903 წელს ის ეწერება რუსეთის ს. დ. მ. პ. (ბ), ამავე წელს მას იქვე და 1904 წლის თებერვალში მიუსაჯეს ოთხი წლის კატორღა.

1905 წელს ის გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, ქ. იაკუტსკში.

1915 წ., როდესაც მეფის მთავრობა შეუდგა ლატიშების მსროლელი ნაწილების შედგენას, ის ლატვიის პარტიის ც. კომიტეტის (ბ) დეპუტატით შედას ერთ-ერთ ლეგიონში.

1917 წელს მას უკვე არმიის კომიტეტში ირჩევენ, ხოლო წ დეკემბერს ის გადმოდის წითელი გვარდიის რიგებში.

1919 წელს ამხ. ფაბრიციუსი მონაწილეობას იღებდა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლებში.



## პიონერთა შეკრებისათვის.


მე ვიგონებ იმ შავ დღეებს,  
როცა ტანჯვით სწუნდა ხალხი  
და შრომისგან დაქანცული  
ქედს უსრიდა მტარვალთ ძახილს.

მამა შრომით წელს იწუვეტდა,  
დედას ნემსი სწსვლეტდა სელებს,  
და შვილები უსწავლეულნი  
აჭულოდენ „ქუჩის“ ბიჭებს.

განულო კიდევ მცირე დრომ, და  
აბობოქრდა მშრომელთ მასა,  
და მტარვალნი დაუნდობლად  
ბრძოლის ცეცხლმა დაბლა დასცა.

დღეს კი მშრომელების შვილებს  
აუღიანთ სელში დროშა,  
პიონერთა შეკრებაზე მიდიან და  
ღიმი მოსავთ.

მათ სახეზე ცრემლს ვინ ნახავს,  
არ სწვევიათ შიში, დაღლა,



ნახეთ, ახლა შეკრებაზე  
 რა მხო აქვთ და ან რა ძალა!

დიდ დარბაზში გაუმართავთ  
 კოლექტივებს გამოაფენა,  
 ნახატმა და ნამერწყებმა  
 მთელი სასული დაამშვენა.

აქ ბრძოლაა დასატული,  
 იქ ლენინის ქანდაკება,  
 კოლექტივი კოლექტივისა  
 ქუშობით ეჯობრება.

მოძმე მხრიდან ჩამოსულან,  
 ღამაში აქვთ ფესთა წუობა,  
 სურთ, რომ ძლიერ გააძაგრონ  
 კაგშინი და მტკიცე მშობა.

მათ სახესე ცრემლს ვინ ნახავს,  
 ან სწევიათ მიძი, დაღლა,  
 აბა, ნახეთ, შეკრებაზე  
 რა მხო აქვთ და ან რა ძალა!

ქუშებს მოსდევს მწუობრი რივი  
 და ივლიან ასე მარად,  
 მტრებსა ზარავს ეს სმა მკვეთრი,  
 როს გრგვინავენ: „მსად ვართ“, „მსად ვართ!“

გ. შალვაშვილი.



## ამიერკავკასიის პიონერთა შაჰრეზა ტფილისში.

ავგისტოს მშენებელი დილა იყო.

ტფილისის სადგურის ბაქანი საღეს იყო ზიონერებით.

უკვლას სახეზე სინარული ელფერი თამაშობდა.

აი, სადაც არის დარეკავენ სადგურიდან მატარებლის გამო-  
სვლის ზარს, და ტფილისის სადგურს მოადგება ზიონერებით საფ-  
სე მატარებელი.

ტფილისის ზიონერთა რამდენიმე კოლექტივი დასასვენებლად  
დგას ბაქანზე. უკვლას კული მოუთმენლად მოკლის მოძვე ერე-  
ბის ზიონერების შესვენებას.

„დღეს იწყება ზიონერთა შეკრება. მთელი ქუჩები გაივსება  
წითელფლასსავევიანებით, საუერების სმა დაურუებს ავტომობი-  
ლების სმაურს“, — უუბნებთან ბაკუბი ერთმანეთს და სიცილით დარ-  
ბიან კუზრისაგან გამაფებულ ლიანდაცზე.

ზინუკლი ზარი ჩამოჭერს.

„ლენინბაქანი“ მოდის! — იგნიალა რამდენიმე სმამ.

უკვლას კული თრთის, თითქოს გაფრენისათვის ემზადებაო.  
თვალეები იქითკენ აქვთ მიზნობილი, საიდანაც მატარებელი უნდა  
მოვიდეს.

დიდხანს არ გაუკვლია, და ნავთლულიდან გამოსული მატარებუ-  
ლი მძლავრი უვირლით გაუსწორდა სემაფორს. ზიონერთა თვა-



ლები გაფართოვდა. მომავალი მატარებელიც დიდდება და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს შთელ სადგურს გაანგრევსო.

მატარებელი ხელის ქშენით მოადგა ბაქანს.

სომხეთის ზიონურები ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ აუარებელ ხალხს და ზიონურებს. ამ დროს მატარებელში იგრიალა მარშმა. კვირული სიმღერა გამოიჭრა ფანჯრიდან.

ზიონურთა გული აღელდა, ვეელას მარღვებში იმატა სისხლის მოძრაობამ, ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს ბრძოლის ველზე არიანო.

კოლექტივები მიესალმნენ ერთმანეთს და დაიწვეს საუბარი.

„ლენინბაქანის“ მატარებელს „ადერბეიჯანის“ მატარებელიც მოჰყვა, და მალე შთელი სადგური ზიონურებით გაივსო.

კაიდა განკარგულება, რომ რიგში ჩამდგარიყვენ. მალე ვეელა მთეწო და სამხედრო მუსიკით გამოჰყვენ ქუჩებს.

ორ საათამდე არ შეძწუდარა ზიონურთა მოძრაობა ქუჩებში. მოძმე ხალხთა ზიონურებს აინტერესებდათ ბაღებისა და დაწესებულებების დათვალიერება.

შუადღისას მსემ საშინლად დააცხუნა, ქუჩებსე ხალხის სიარული შეჩელდა, ზიონურებიც წაჭადენ ბინასე.

სიცხემ თანდათან იკლო, ქუჩები მოძწწუვაება ტრამვაიმ გააგრილა. ოთხი საათი შესრულდა, და დარაზმული ზიონურების რაზმები კვლავ მოედნ ტფილისის ქუჩებს.

გიორგი.





## კატარას ფიცი.

დილიდანვე ამღერდება,  
 დაცქრიალებს, დაკისკისებს;  
 ველს ეწვევა ფერადოვანს,  
 შინ ბრუნდება შერე ისევ.  
 უფრთხილდება ჩიტუნებს,  
 მათ არანდროს დაატყუვებს...  
 სულ სირბილით შემოირბენს  
 ჭაღებს. მთებს და ლამაზ ტყეებს.  
 ბავში არის, მაგრამ მის გულს  
 ვერ შეაკნობს ერთხელც შიში,  
 უვარს შრომა, სწავლობს კარგად,  
 აქტიურობს კოლექტივიც.  
 შინ მიირბენს და ცქრიალით  
 მოესხევა ეელსე დედას,  
 სუნს გაიცნოს, რასაც ვერ სცნობს  
 და ბავშური თვალთ სედავს.  
 მაგრამ ბავში ზოგჯერ უნებ  
 მოიწეებს და დაღონდება,



ბრძოლის ფრონტზე განკმირული  
 მამა როცა აგონდება.

მაგრამ წუთით ეს ჰატარა  
 კვლავ ხალისობს, აღარ ოხრავს;  
 მსოლოდ ისმენს დედისაგან  
 მისსა ანდერძს ნაამბოხარს.


როცა ბავში გულმსურვალე  
 მოსდევავებულ ფიქრებს დასძლევეს,  
 ლენინის დიდ სურათთან დგას  
 ჰაწაწინა და ფიცს აძლევენ:

„დიდ ოქტომბერს ვუფიცავთ, მოვსპოთ  
 მტერი შმაგი და გულღვარძლი,  
 ჩვენ განვაგრძობთ, მია ლენინ,  
 თქვენ ბრძოლებით განვლილ მანძილს“.

გრიგოლ იკოშვილი.

# ჩვენ კმეზი მართ!

—რა გატირებს, შოთა? — შეეკითხა მასწავლებელი ელენე და მიუაღიერა ბიჭუნას, რომელიც გამოყოფოდა დანარჩენ მოთამაშე ბავშვებს და ალუბლის ხის ძირში, მოლიკლიკე რუს ასლოს, ჩამოძვდარი იცრემლებოდა.



— აი იმან სცემა, აშოტამ, სომეხმა... — მიუგო დაღვრებით ქეთინომ, რომელიც შოთას ამშვიდებდა და ხელი გაუშვირა ბავშვებში ერთ-ერთზე, რომელიც სხვებსე ცოტა მოსრდილი იყო და ცხენობანას თამაშობდა.

— ალბათ რაღე დაუმავე, იცელქე და...

— არა, მასწავლებელო, მე არა... — ქსლოკინით დაიწყო შოთამ და შესწუვიტა.

— არა, შიმალაე... აი, გატეობა, რომ ვერ ამბობ... ტუუილი კი არ შეიძლება; გუღმართალი, ზირდაზირი უნდა იყო, რამდენჯერ მითქვამს!..

— ამას ალუბლის ტოტი უნდა წაერთმია და... აშოტამ მუშტი გულში ჰქერა, — ჩაერთა ასმედა და შესცინა მასწავლებელს, მერე მოუჯდა შოთას, ხელი მხარსე დაადო და უთხრა: — აშოტა კარგი ბიჭია, შენცა, ჩვენ სომ კარგი ამსანაკები ვართ? ჩსუბი არ უნდა... წამო, ვითამაშოთ... — და ამ სიტუვებით გაჰკურცხლეს ხელდაჰკერილებმა.

ელენემ ღიმილით გააუღლა თვალი, მერე ქეთინოს მიუბრუნდა და უთხრა: — შენ კი, ქეთინო, ამის შემდეგ აღარა სთქვა; ის სო-

მესი, ის თათარი, ის რუსი და სხვა... ეკ ძველად იყო ხალხი, როდესაც ძველი მთავრობა ბავშებს ასე ზრდიდა, ეროვნებებდ ანაწილებდა, ერთმანეთს ჰკიდებდა სამტროდ, შურს სთესდა; მაშინ სახელმწიფოს სათავეში იდგენ მეფე, მდიდარი ხალხი, აი, ბურჟუაზიას რომ ეძახიან, თავადები, მემაძულენი, მღვდლები; ისინი სხვადასხვა ერებს ერთმანეთს ჰკიდებდნენ, რომ ისინი არ შეკავშირებულიყვნენ, აჯანყება არ მოესდინათ მთავრობების წინააღმდეგ და არ დაემარცხებინათ; მაშინ ხალხი წოდებებდაც იყო დაუოფილი; რაც კითხარი, მათ ვაზდა იყვნენ მუშები და კლესები, რომლებიც მუდამ წვალებამი იყვნენ შემოჩამოთელილი ხალხისაგან. ახლა მთავრობები ხვენში აღარ არიან, უცხო სახელმწიფოებში კი ისევ არიან ჯერჯერობით, რადგანაც იქ ისეთი რევოლუცია ჯერ არ მომხდარა, როგორც ხვენში, აი ის, ოქტომბრის რევოლუციას რომ ეძახიან, მიაღწინის მეთაურობით რომ მოხდა—მდიდარი ხალხი დაამარცხეს მუშებმა და კლესებმა, თვითონ ჩაუდგენ სათავეში ქვეყანას..

ქეთო იღვა დარცხენილი, სახესე ვარდისფერი გადაჭკროდა, ასეთი სიტყვა რათ წამოძვდაო, და უსმენდა მასწავლებელს...

—ახლა ბავშები, ეველა ერის შვილები, უნდა აღიზარდოთ ინტერნაციონალურად, თქვენ ხართ ოქტომბრელები, ამ რევოლუციის შვილები, რომელმაც შიანიჭა თქვენს მშობლებს თავისუფლება და თქვენც თავისუფლად ისრდებით. — განავრძობდა ელენე აუბარს... ბავშები შემოესვიენ და უსმენდნენ.

—თქვენ უნდა გიკვარდესთ ერთმანეთი და თანხმობით ცხოვრობდეთ; ასე, ჩემო პატარა ამხანაგებო... — განავრძობდა ელენე — მით უმეტეს, რომ ამოტა ობოლია, უდედამო, ქუჩაში ნაპოვნი, და ეველა უნდა ვსრუნავდეთ მასზე, გადავარჩინოთ, კარგ ამხანაგად აღვსარდოთ.

—მანატე, მასწავლებლო, სიტყვას კამლეე, რომ აღარ ვიტყვი ასე... — უთხრა ქეთინომ, ჩუმად მდგარ ამოტას გაუღიმა და თავი დახარა.



— ამოტ, შოთას რათ დანარტვი? ავრე არ შეიძლება, ჩემო კარგო, თქვენ ძმები ხართ და ერთმანეთს არ უნდა მტრობდეთ; ორივენი კარგი ხართ და აღარ გაბიჟოროთ... — უთხრა ელენემ და თავსე ხელი გადაუსვა მსრუნველობით.

— მე რა, მე... იმას უნდოდა ალუბლის ტოტი და მე არ მივეცი... აი ხეებზე რამდენია... — თითქმის ბუსდუნით მიუგო ბავშმა და გადააჯდა ჯოხს, გააჯირითა...

— ამოტ, რა გითხარი? — უთხრა კიდევ ელენემ, როცა ბავშმა ჩამოუქროლა კვერდსე.

— მე... მასწავლებელი... აღარ... აღარ ვისამ... შევეცი... — წაწმოსთქვა ამოტამ და ხელი გაუწოდა შოთას, რომელიც ახმედამ მოიუვანა შესარიკებლად.

— არც მე... — სთქვა შოთამ და შესცინა.

— აი, ასე კარგია... აბა ახლა წავიდეთ, ავერ ვაშლიც მწიფა... აბა, ვინ უფრო სწრაფად ავა ხესე! — ჩაერთა ახმედამ და გაიქცა, მას მიჭევენ სსუებიც...

— ბავშვებო, ხეებზე ნუ დაცოცავთ, არ ჩამოვარდეთ, ფრთხილად... ბევრი სილის ჭამა არ ვარგა, გაწუენსთ... — მისდევდა ელენე და არიკებდა...

ქრიაბულობდა სიცოცხლით აღსავსე ინტენსივონალური საბავშვო ბაღი...

ქალაქის სიცხეს კარგახანია თავი დააღწია საბავშვო ბაღმა და ამ ზატარა სოფელში დაბანაკდა მუშაპულისეულ სახლში, რომელსაც წინ მშენიერი ხილის ბაღი აქვს.

— ბავშვები?

— ჰმ!.. ბავშვები, მშრომელთა შვილები, დილით ადგებიან, ტანს ჩაიცმენ, ხელ-პირს იბანენ, ვარჯიშობენ...

— ეგ რაღათა?

— იმიტომ, რომ ჯანსაღ სსეულში მაგარი სულიაო, უთქვამთ ძველ რომაელებს, და ჩვენი ახაჯი თაობა სულიერად რომ იზრდება საღად, თუ ფისიკურადაც მაგარი არ იქნა, არ ვარკვა, გადაგვარების, გადაშენების გზას დაადგება...

— ჰო და, იმას ვამბობდი, მერე საუბრეს სჭამენ, შემდეგ მწუობრად სვლას ასწავლიან, ასეირნებენ, ასლა სადილი, მერე თამაშობენ, ასწავლიან წიგნს, ჰიანინოზე უკრავს მასწავლებელი და ამღერებს მათ; იწუება ხატვა, მერწვა. მათი ნამუშევართი მორთულია ზატარა ლენ-კუთხე; მერე ვახშაძი, ჩაი, ხან კიდევ ჩვენს ზატარა მდინარეში აბანავენ, ცურვას ასწავლიან, და ასე იზრდება ახალი თაობა, უველაფრით მომსაღებელი. უველა ეროვნების ბავშვები ერთად, მშურად... ჩვენმა სოფელმა უჭველად უნდა მიბამოს მათ. ხელისუფლება გვიწუებს ხელს და რათ არ უნდა ვისარგებლოთ? — ესაუბრებოდა კომუჯრედის მდივანი წუაროს თავზე შეკრებილ ხალხს, რომელსაც უზარმაზარ კაკლის ხის ჩრდილში შეფარებინა თავი და სასოფლო კრების გათავების შემდეგ მასლაათობდა. კვირადღე იყო...

მსე ლურჯ კამარაზე ავარჯარებულ ჭადივით დაკიდულიყო და აბრეშუმის თმებივით გადმოეშალა სსხივთა კონებში...

ნელად მოსინინე სიოს ახლად მოპკილი ეახებით მოჭქონდა საამო სურნელება და კაკლის ფოთლებს, თითქოს რაღაცას ეჩურჩულებო, ახმაურებდა...

— ჰაი დედასა, უწინ სადა ნახავდა ამას კაცი! — წარმოსთქვა მოსუცმა ზანამ და ჩიბუსი ქალამნის ჭვინტზე დაიბურტვა.

— ჩვენი კიბაში განა ვაგვატარებდა თავის ციხე-დარბაზში?! — ჩაერთა ქალთა წრის წევრი, რომელიც ერთხანად მოასლედაც იყო მაშინ ამ სოფლის მებატონესთან...

— ჰო და...

განაკრძობდა კომუჯრედის მდივანი...

— მერე ვკენი დასდებიან ზიონურები, შემდეგ კომუკავშირელები და ბოლოს კი — ჩვენი ბურჯები, კომპარტიის წევრები... მაგრამ შესედეო... აკერ, მოდიან კიდევ... — მდივანმა ხელი გაუშვირა ორდობისკენ, სადაც მისი ფანდად საამოდ გაწოლილიყო ალვის სეთა ჩრდილები...

— ერთი! ორი! ერთი! ორი!.. — ისმოდა შოთას წკრიბლა სმა, რომელსაც ზატარა წითელი დროშა მოჰქონდა; ერთი მხრით მოსდევდა ამოტა ბუკით, მეორე მხრივ ასმედა დაღაბანდით, რომელსაც დრო აძომუებით, მორიგეობით უკრავდენ; მერე შწუბონადეუ სამ-სამად მოსდევდენ ქეთო, ანუშა, ლეილა, შემდეგ ოტო, ოლეკი, ბურთუსა... მასწავლებელი მოჰქუებოდა კვერდით, მღიმარე სახით და ამლევადა დარიგებითს განკარგულებებს...

დასცხეს სიმღერა. მათი წკრიბლა სმა მოეფინა მიდამოს, გაინავარდა და მისწედა შორს...

— შესედეო, თითქოს ერთი დედ-მამის შვილები იყვნენო, ისე ერთხანად აცვიათ, ერთხანად დადიან, ერთ ენაზე მღერიან; აი რას ვუბაძევს ის ოჯახი, რომელსაც საბავშო ბაღი, სასალი ჰქვია.

— ვინ იცის, წინად როგორ ემუღლებოდენ ერთმანეთს ეს ბავშვები მშობლების ცუდი აღზრდით და ასლა კი...



— ეგრე იცის კარგი მასწავლებლის მიდგომამ ბავშვის სულთან, ბავშვის ზნისა და ხასიათის გაგებამ და მერე აღზრდამ ნამდვილი ინტერნაციონალური შეკრძობით, მშობლიური აღერსით. ეს უნდა ახსოვდეს მშობლებს, რომ საბავშვო ბაღებში მიუვანამდე შეიღებს ჩაუნერგონ, გრძობა გაუფაქიზონ...

იყო ასრთა გაცვლა-გამოცვლა სოფლის აქტივში, რომელიც უუურებდა მომავალ ბავშვთა ჰატანა რაშს და აღტაცებით ტაშს უკრავდა...

— არიქა, ბავშვებო, მოერიდეთ! — იუვირა ელენემ, როცა შენიშნა დამფრთხალი ხანი, ორღობეში რომ მორბოდა...

ხარი ჰირდაზირ შოთაზე მოდიოდა; ბავშვები შიშმა აიტანა, მაგრამ, შიშით იყო თუ დაუბნეულობით, ამოტამ ბუკი აუვირა, ხარი შესდგა, კამტერებით შესედა ბავშვს, იბრუნა ჰირი და თავი შინდორს მისცა...

ბავშვები სინარულმა აიტაცა, გლესებმა ეიყინა დანცეს, შემოესეიენ მათ, დაუწეეს ქება-გამხნეუება, სოფლის ჰატანა გოგობიჭები სთავაზობდენ სილს, დაიწყო დამშობილეება, სინარული...

— ვინა ხართ, შვილებო, ეგრე კარგები, ვინა ხართ? — აღტაცებით წამოიძახა ვინანდიან მომავალმა მოსუცმა მართამ და სელი თვალებზე წამოიჩრდილა, რომ კარგად დაენახა...

— ხვენ შვიბი ვართ!.. — მიუკვან ბავშვებმა ვრთად.

ხეზმან ერთაწმინდელი.







## „წითელი სასაღილო“

კადანსწევია თმანსუჭუჭა ილომა,  
რომ წითელი განსნას სასაღილო მან.  
და ესოძი უველა გამოუფინა:  
ლენა, თაძრო, მართა, გოკი და თინა.  
მოიტანეს სკამები და მაგიდა,  
უსუფროა, წუნს ნუ დანდებთ მაგითა.  
მაგიდასთან დასსდენ მოსადილენი:  
თინა, გიგო, ოთარეკო და ლენა.  
ტოტებისგან გააკეთეს საღარო,  
შიკ მოღარედ წამოაკუჭდა თაძრო.  
გამკე — ილო, მხარეული — მართაო,  
სასაღილოც, ნახეთ, გაიმართაო!  
მაგრამ, ვნახოთ, მართა მორბის გოდებით:  
არ გამოდის ქვიშის „ანტრიოტები“!  
რაგინდ წუალი არ დაასხა, რა ბევრი,  
სულ იფუნება, არ შევლის არაფერი!  
მაშინ გამკე თვით ხდება მხარეული.  
ჰო და, მიწა, ქვიშაში არეული, —  
გამოვიდა ანტრიოტი ქებული —  
ისეთია, თქვენი მოწონებული!  
მოსადილე ძალსე კბუთაფილია:  
„უოჩად, გამკე — მხარეულო ილია!“  
დამიხედეთ წითელ გამკე ილოსა,  
როგორ მართავს „წითელ სასაღილოსა!“

მ. მიქელაძე.



# მკვლელობა

— კოტიკოს ამხანაგმა ჰეტომ აბასად იუდა ლატარიის ბილეთი და თოფი მოიკო. ჰეტო ძალიან ამეუობდა თავისი თოფით: საუცხოოდ ისურვის!

მოუნდა კოტიკოსაც იმზარიეფ თოფის მოვნა.

ერთხელ კოტიკო დედამ კოპერტიუში გაკსუნა და აბასი მისცა.

მიდის ჰურისთვის კოტიკო და კზასეფიქრობს: მოდი კლუბში შევალ, დეეს იქ ლატარიის გათამაშებაა, ეგება ტეც თოფი მოვიკო.

ძალიან კი ემინოდა კოტიკოს, რომ შინ გაუჯავრდებოდენ, მაგრამ ისე უნდოდა თოფი, რომ აბასი მისცა და ბილეთი ამოიღო.

— № 375, წაიკითხა კოტიკომ და მისცა ბილეთი სათვალეზიან კაცს, რომელიც მაგიდასთან იჯდა.

კაცმა ბილეთი აიღო, ჩასედა წიგნში და სთქვა:

— № 375 ძროსა მოიკო.

შეემინდა კოტიკოს და ატირდა.

— არ მინდა ძროსა, მე თოფი მინდა, ისეთი, ჰეტოს რომ აქვს. ფული უკითხავად დავხარჯე და დედა კამიჯავრდება.

ბევრი იტირა კოტიკომ, ბოლოს გაზარვაც კი მოინდომა შინ შეუმჩნეულად, ისე, რომ ძროსა დაეტოვებია.

ამ დროს კოტიკოსთან მივიდა ერთი ცუდლუტი კაცი და უთხრა:

— მოდი, წამოიყვანე ძროხა და მოძეიდე. სამ მანეთს მოგცემ.

კოტიკოს გაესარდა.

— რა კარგია: ჰურის ფულიც დამრჩება და თოფსაც ვიყიდი, — კაიფიქნა მან.



ცუღლუტი კაცი კი უკვე სანქაროდ ახეხებს კოტიკოს ფულს.

მაგრამ სწორედ ამ დროს მილიციონერმა დაინახა, რომ კოტიკოს მოტყუებას უზირებენ, და ცუღლუტი კაცი გააგდო. შემდეგ მილიციონერმა გამოაბა ძროხას თოკი, ჰკითხა კოტიკოს სად ცხოვრობენ მისი მშობლები და წაიყვანა. კოტიკოსაც უთხრა უკან გამოძევიო.

ბევრი უცადა დედამ კოტიკოს—ზურს მოიტანსო, და ქუჩაში გამოვიდა გასახედავად, კოტიკოს საძებრად, და უცებ დაინახა, რომ მილიციონერს ძროხა მოჰყავს და უკან-კოტიკო მოსდევს ტირილით.

კოტიკოს დედამ ვერაფერი ვერ გაიგო, სანამ მილიციონერმა არ აუხსნა, რომ კოტიკომ ლატანიაში ძროხა მოიგო.

დედას და მამას ძალიან გაუსარდათ ძროხის მოგება, მაგრამ კოტიკოს მაინც საუკუდური უთხრეს უკითხავად ფულის დასწრჯვისთვის.



# სუმის რიჟიჯი

კაცო, ეგრე უდიურად  
რომ მესხავ და მხანდგურებ,  
რატომ შონს არ იმზირები  
და მომავალს არ უეურებ?

ე, ხომ სედავ ტიტველ კორებს,  
ქანლად რომ ჩანს მთების ქალა,  
იქაც კაცის უვიცობამ  
მთლად გააქრო ტყე და ჭალა.

იქ რომ ვინმე ისრჩობოდეს,  
გულით სურდეს წვეთი წუალი,  
სწორედ კაცის მეოხებით  
ანსად არის ნატამალი.

და აქაც თუ ისე კინდა  
იკივე ღლე დაბეუნო,  
რასა ფიქრობ შემდეგისთვის  
შე უვიცო, შე რეკვენო!

თუ-კი მე არ შევინახე  
ცის ცვარ-ნამი ჩემს წიადში,  
რა გავუ საუნო მოსარწუხად  
ან მინდურებში და ან ბადში?

ნამი ნამს რომ ემატება,  
ჩემში სდება ნაკად-წუაროდ;



ნაკადები მდინარებად  
მიდიან ზღვის გასასაროდ.  
    ზღვა კემებს რომ ამომწავებს  
და კვიზიდავს ნაირ ტვირთებს,  
    ზღვა მთა-გორად რომ აუენებს  
ძვე ტალღების მშფოთარ სვირთებს,

ნავეები რომ დაცურავენ  
და ბორანიც სედ ტივტივებს,  
მცხეთამდე რომ ეზიდება  
მდორე მტკვარი დიდრონ ტივებს,  
    საჭესი რომ იწვის ცეცხლში,  
ნაკვერჩსლებად რომ ბრიალებს,  
მუქს რომ ჰსაუნის სიბნელეში  
და სინათლით კვიფენს თვალებს,—



    ეს სულ ჩემი უნარია,  
მათთვისა ვარ მე უბადლო,  
და შენ კი გსურს მთლად გამჩენო,  
დამამორო, დამაადლო!

    ჭდეულებსაც რომ წამოგვამთ,  
ან იასლებთ მუდამ სასლებს  
და ჭუჭუკი რომ გავიდისთ  
თბილ ბუნრის წინ სოგავერ მძახლებს,—



    მე კვუსგუსებ იმ ბუნარში,  
მე ვიწვი და ვიფურთლები,  
და ის ცეცხლიც დაგეუვავთ,  
თუ ტყე აღარ განფასდები...  
    კალოზე რომ გბნედავს სიცხე  
და წუალსა სოსოვ ლიტრით სინოს,  
რომ ნატრულობ: „ან, ნეტავი  
ნიაჟმა კი იისინოს!“



მინდვრიდანაც რომ მოქესმის  
უვაილები ჩუმი კვნესა,  
სწორედ ამ დროს შე გიგნავს  
მაღლობიდან სიგრილესა.

რის მაგიერს მისდით, ნეტა,  
კაცო, მარტო შენა გკითხავ;  
შენს სიკეთეს რომ ვერ ხედავ,  
სწორედ ამიტომ გკიცხავ.

მარჯულა შეც კი მომიხდება  
სიმინდივით თავის დროსე,  
და არა განადგურება  
უღმობელად, სანქაროსე.

ჩუმადა და ცხადლივ მოსულას  
ჩემთან ძან მოუსძირე;  
აღარ მინდობ, როგორცა ჩანს,  
შე უვიცო შენახშირე.


საჯახი და პასრი წაღდი  
ჩემს ტოტებს რომ სხენს და კაფავს,  
როდი იცი, შენი უოფაც  
რომ სისწრაფით სულსა ღაფავს.

მსიარულად ქუნა-ქუნა,  
ვგონებ, ვეღარ დაიუვირო:  
„ო, ნახშირი, ო, ნახშირი,  
აცე, ვირო, აცე, ვირო!“

ბიჭო, შენი თუახლობაც  
რუს ზირსე რომ ეძებს ჩრდილებს,  
აღარც თუ ის დაიღვრეჭავს  
თეთრად მოქათქათე კიდეებს

და თამამად ვეღარ დასრდის  
ვერც იხვსა და ვეღარც ბატებს,  
აი ჩემი გადჩეხვა  
რას გიქადის და რას გმატებს.

ზიო მღვიმელი





— წუსეღის დიდი ქარი იყო, ახლა ჩვენი ბაღი კაკლით იქნება მოფენილი. ადექით, ბავშვებო, გაიქეცით კალათებით, მოაგროვეთ ნაქარი კაკალი, სამთრისნათვის ძეგინახოთ, — ელანარაკებოდა ერთ დილით ბებია ჯერ ისევე ღოგინში მწოლიარე თავის შვილიძვილებს.

— აბა, ვინ წინ და ვინ უკანა! — დაიფირობა სოსომ.

წამოცვიფდნ და კიჟინით გაიქეცნ ბღისაკენ, საიღანაც კაკლით სავსე კალათებით დაბრუნდნ შინ.

— ბებო, სულ მთლად ჩამოცვიფინლა კაკალი, სავსეა ბაღი, დიდი კალათები მოგვეცი, ახლა იმით მოვიტანთ, — ელანარაკებოდა სინანულისაგან ღოგებგაწითლებული სოსო.

— მე სომ გითხარით, — უნახუსა ბებომ, — წუსეღის ისეთი ქარი იყო, რომ კაკლის ხეს კაკალს აღარ შეარჩენდა. წადიეთ მოსრდილი კალათები და ზარკი. აბა, თქვენ იცით! სულ მთლად აჭკრიფეთ, მირს აღარაფერი დანსტოვოთ, თორემ თუ ჩვენი დედართრი გადაიზარა თავისი გოჭებით, იცოდეთ, ისინი აღარაფერს გაუშვებენ, ძალიან უუვართ ნიგოსი და სულ ერთიან შესტამენ.

ბავშვები მეორედ დაბრუნდნ ბაღში კაკლის ასაკრეფად. მათი სიცილი-კისკისი და ყრიაბული ახმურებდა იქაურობას.

— ვაი, რასა ვხედავ, რასა! — დაიწყო ევირილი ერთბაშად ზატარა მარომ, როდესაც მიუახლოვდა ერთ კაკლის ხეს.

— გაიხედეთ, რა დგანახოთ! უიმე, დედავ, რა დარბის, რა ლამაზია, მე ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. რა მარდია, რა კრძელი ბანჯკელიანი კუდი აქვს.

ერთბაშად ეველამ იქით მიიხედა, საითაც გაოცებული მარო იცქირებოდა და დანახეს მოწითალო ციფვი, რომელიც, ბავშვების ხმურობით შემინებული, სწრაფად თავისი ბინისკენ მიწობდა.

— ციუვა, ციუვი! — დაივირა დათიკომ: — ერთი უურუო, მინათ როგორ მინარბენინებს კაკალს. მოდი მიუვეოთ, სოსო, და ვნახოთ, ბინა სადა აქვს.

ამის თქმა იყო, და ბავშვებმა სწრაფად მოჭკურცხლეს იქით, საითაც ციუვი მიზნობდა. აშკარად დაინახეს, როგორ მარდად მუხტა ციუვი ერთ ხეზე და ხის ფულუროს შეაფარა თავი.

— ვიპოვეთ, ვიპოვეთ ციუვის ბინა! — დაივეირეს ბავშვებმა და კულის ფანცქალით მიადგნენ ხის ძირს. დათიკომ გადასწვეიტა ასულიყო და ენახა. მარდად აცოცდა ხის ფულუროსაკენ. ის იყო, მოუხლოვდა კიდევ და აწირებდა შიგ ჩახედვას, რომ ამ დროს უური ცქვიტა ციუვმა, დაფრთხალი სწრაფად ამოხტა ბინიდან და გაქრა. ბავშვებმა ხის ფულუროდან ამომპვრალი ციუვი კი დაინახეს, მაგრამ იმას კი თვალი ვეღარ მოჭკურეს, თუ საით მიიქალა.

— ვაი, ვაკვექვა! — წამოიძახა ხის ძირს მდგომმა სოსომ.

— შერე რა, გაიქცეს, — უნახუნა დათამ. მე ციუვის დაჭერა კი არ მინდოდა, მხოლოდ მისი ბინა მინდა ვნახო. უნდა ვაკვიო, რა აქვს სასრდოდ გამხადებული.

როდესაც დათამ ჩაინებდა ციუვის ბინაში, ის განცვიფრებული დარჩა და დაიწყო ერთბაშად უვირილი:

— სოსო, ერთი უურუო, ასი, ორასი კაკალი და თხილი. უიბე, რამდენი სასრდო აქვს თავისთვის მომარბეული!

— არცერთი აღარ დატოვო შიგ, სულ მთლად ამოიღე, — ეხვეწებოდა სოსო.

— არა, ბიჭო, რათ ამოვაცალო, ცოდვაა, დეე ჭქონდეს; მე სელსაც არ ვახლებ, — უნახუნა დათიკომ და მარდად გადმოსტა სიდან.

ბავშვები ისევ შეუდგნენ კაკლის მოგროვებას და თან გაკვირვებულები და-





ზარაკობდენ ციყვის სა-  
ქციელსე. როდესაც მი-  
იდენ შინ, ერთიმეორეს  
აღარ აცდიდენ ღაპარაკს.



— რა ვნახეთ, რა ვნახეთ! — უველა ერთმანდ გაიძახოდა.

— რა იყო, ბავშვებო? — ბოლოს შეკითხა ბებია: — რა ნახეთ  
ისეთი, რომ ასე განცვიფრებულები ხართ და აღარ აცდით ერთმა-  
ნეთს ღაპარაკს?

— რა ვნახეთ, ბებო, და ციყვი ვნახეთ, ციყვი, — უველას და-  
ასწრო ჰატარა მარომ.

— ჰო, ციყვი ნახეთ? მერე, რა არის განსაკვირვალნი? — უთ-  
ხრა ბებიამ, — ციყვის ძალიან უვეარს ბაღში სეირნობა და ხილის  
ჭამა.

— მე ჯერ არ მინახავს ციყვი, — უპასუხა მარომ, და დღეს  
რომ ვნახე, ძალიან მომეწონა.

— ბებო, ბებო, რომ იცოდე, როგორი ღაპანია, მოწითალოა,  
გრძელი ბანჯაკლიანი კუდი აქვს, უურებდაცქვეტილია, ტუნებს  
სულ ერთთავად აცმაცუნებს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და  
ისე მარდია, ბებო, ისე მარდი, რომ თვალს ვერ ვასწრებდი მის



სირბილს. შენ კვითხარი,  
ღორს ძალიან უვეარს  
ნიგოზიო, თუ გადავიდა  
ბაღში, სულ შესჭამსო,  
ის კი არა, ღორზე უა-  
რესი კაკლის ქურდი ბაღ-  
შივე გვეოლია.

— მართალია, — უპა-  
სუხა ბებომ, — ძალიან  
მოუსვენარია ციყვი, მეტა-  
დრე ხილიანობის დროს.

ისე დასტის ერთი სიდან შეორეზე, რომ თვალს ვერ მოასწრებს კაცი და განა მარტო კაკალს და თხილს სჭამს,—მას უველა სილი უვეარს. როდესაც მსხალი და ვაძლი დამწიფდება, მაშინ სომ მის სისარულს სასლვარი არა აქვს. უველა ხეზე დადის და რომელიც მოეწონება, იმას მიირთმევს.


— ბებო, მის ბინაში რომ ჩავიხედო, კაცოცებული დაეჩხი, იმდენი კაკალი ჭქონდა მოგროვებული.

— კაკალი იმიტომ აქვს მოგროვებული,—უნასუსა ბებომ,— რომ სამთარში იმით შეინახავს თავს. იცოდეთ, თუ ბაღში სშირად არ წახვალთ, თქვენი ქურდი ციუვი სულ მთლად მოგპარავსთ კაკალსაც და სხვა კემრიელ სილსაც.

ნინო ცაგარელი.



# როგორ გადაიქცა კულტიცინა მწვანე ყიყინად



1.

მწვინიერი გაზაფხული იყო. მზემ ისე გაათბო მიწა, რომ იქიდან მხიარულად ამოჰყო თავი ყოველნაირმა ბალახმა, ყვავილებმა, ნერგებმა. ბაყაყიცი კი გაახალისა გაზაფხულმა და მხიარულად აყიყინა.

მთელი ღამე გრიალი გაჰქონდა ტბაზე ბაყაყების კონცერტს.

ღიღით მოფრინდა ყვავი, ხედავს—რაღაც თეფშის ოდენა ლორწო დასტურავს წყალზე. ეს ბაყაყის ხიზილალა იყო. მოინდომა ყვავმა პირის ჩაგემრიელება. ჩაკრა ბაყაყის ხიზილალაში გრძელი ნისკარტი, მაგრამ ვერ მივართვით: ხიზილალა სრიალა გამოდგა ლორწოსავით. ბოლოს. როგორ იყო, დაიჭირა, უნდოდა გადაეყლაპა, მაგრამ ვერც ახლა მივართვით,—ხიზილალა გამოუსხლტა ნისკარტიდან და ტყაპანი მოაღინა წყალში.

—ყვა! — დაიყრანტალა გაჯავრებულმა ყვანჩალამ და გაფრინდა.

მეოთხე დღეს რაღაც ცოცხალი შეიშმუშნა ხიზილალაში. ორი კვირის შემდეგ გასკდა ხიზილალის ერთი მარცვალი და იქიდან გამოვიდა ჩვენი პაწია კულტიცინა. თვითონ პაწიაქ და სქელი, იყო მაგრამ კული ჰქონდა გრძელზე უგრძესი.

ბაყაყს სრულიადაც არ ჰგავდა, უფრო რაღაცა თევზს ემსგავსებოდა. თათები სრულიად არ ჰქონდა. როგორ შეეძლო ცურვა? სულ აღვილად: აქიცინებდა კუდს აქეთ-იქით, მარჯნივ და მარცხნივ, და ძალიან კარგადაც ცურავდა.

3.

სწრაფად იზრდებოდა კულტიცინა.

პირველად ის ღამით იკვებებოდა, შემდეგ გათამამდა, წყლის სხვადასხვა ჭია-ლუას დასდევდა, იჭერდა მატლებს და წყლის ლოკოკინებს.



გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და აი ჩვენ ქიცინას სწორედ კუ-



დის დასაწყისში გამოუვიდა ორი უკანა თათი. წვრილი, პაწია და სასაცილო. და კულტიცინა ორფეხად გადაიქცა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, გამოუვიდა ორი წინა თათიც. პირველად რალაც ორი მეტეკივით დააჯდა, მერე თანდათან გაიზარდა და გაიზარდა, შემდეგ თითებიც გამოეხა და ნამდვილ თათებად გადაექცა.



სწორედ უცნაური რამ იყო ამ დროს კულტიცინა: არც თევზი, არც ბაყაყი, არც ეს, არც ის.

## 4.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ კულტიცინა დატრიალდა საქმე: საიდანღაც გამოტყვერა ტბაში ხოჭო დიდი, შავი და საშინელი. როგორც კი დაინახავდა თავკომბალებს, გამოუდგებოდა მათ, როგორც მგელი კრავებს.

და როგორც კი დაიჭერდა თავკომბალებს, მაშინვე გააქრობდა: ჩასკიდებდა თავის ბრტყალებს და ახრამუნებდა.



ერთხელ კულტიცინა ნაპირ-ნაპირ მიცურავდა; უცებ საიდანღაც გაჩნდა ხოჭო, გამოხტა ქვიშიდან და ისკუბა მისკენ.

კულტიცინამ მოუსვა, ხოჭო დაეღვენა, იქით ეცა — ხოჭოც იქით მისდევს, ქვევით მოტრიალდა — ხოჭოც მოჰყვება. ძალიან დიდ გასაქირში ჩავარდა კულტიცინა. მოიმწყვდია იგი ხოჭომ ისეთ კუთხეში, რომ გასაქცევი ადგილი აღარსად არის. რა ჰქნას? მოიკრიბა პატარა კულტიცინამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისკუბა და გადახტა ნაპირას. ხოჭო კი ეცა თავით მიწას, სხვა გზა არ იყო, იკადრა უკან გაბრუნება.

## 5.

ზის პაწია კულტიცინა ხმელეთზე, ვერ გაუგია, რა ემართება. წყალი სულ ჩამოუვიდა, მზემ გაათბო; შეისუნთქა ჰაერი ცხვირით და დაიწყა სუნთქვა, როგორც ნამდვილმა ბაყაყმა.

ახლა ის პატარა ბაყაყს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავკომბალებს. კულტიცინა დაუპატარავდა და ფეხები კი გაეზარდა.



ცოტ-ცოტა შეეჩვია დედამიწას და წამდაუწუმ ხტებოდა წყლიდან ნაპირზე, შემდეგ შეეჩვია სხვადასხვა ბუზანკალების ჭერას ენით, ისე, როგორც ყველა ბაყაყი იქერს. ჩამოჯდება თუ არა მის წინ კოლო, ჯერ შეხედავს, მომარჯვდება, აიწვევს, მოუსვამს ენას, და კოლო თითქოს არც კი მჯდარა იქ.

სწორედ იმ დროიდან დაიწყო ჩვენმა პატარა მეგობარმა წყლის ნაპირას ცხოვრება. ჩქარა ის პაწია კუდის ნარჩენიც გაუქრა, და პატარა კუდქიცინა მწვანე ყიყინად გადაიქცა.

6.

ახლა, ბავშვებო, იცით, რას გეტყვით? თუ სადმე შეხვდეთ ამნაირ ყიყინას, არ დაჩაგროთ, ცემა არ დაუწყეთ.

ერთი რომ—ეტკინება, მეორე—ბაყაყები და მათი შვილები ჩვენი დიდი მეგობრები არიან.

კი არ გაიცინოთ. იცოდეთ, რომ ბაყაყები და თავკომბალები ყოველნაირი ჭიალუით იკვებებიან, სხვადასხვა კოლო-ბუზებით. კოლოები და ბუზები ჩვენი მტრებია. ბუზებს თან დააქვთ ყოველნაირი გადამდები სენი, კოლოებს კი ჭაობის ციებ-ცხელება, და თქვენ ხომ იცით, რამდენი ხალხი იტანჯება გადამდები სენით და ციებ-ცხელებით.


აბა გავუფრთხილდეთ და შევიყვაროთ მწვანე ყიყინა, ყველა დიდი და პატარა ბაყაყი.



## კატარა გოგი და წითელი ჯარის მანევრები

ერთი სოფლის აღმასკომის შენობაში რაღაც ურილობა იყო. ხალხს თავი ბლომად მოეუარა. აღმასკომის თავმჯდომარე ხალხს მომავალი მანევრების შესახებ ესაუბრებოდა. ვეულა სმენად იყო გადაქცეული. სინუქს მხოლოდ ზატარა გოგი არღვევდა. იგი თავის მამას გვერდზე უდგა და რაღაცას ეკითხებოდა.

— მაცალე, შვილო, შინ მივალთ და ვეულაფერს გიამბობ, — უთხრა მამამ.



პოლიტ-შეცადინება მანევრების წინ.

— ჰო, ასე, ამხანაგებო, ჩვენი წითელი ჯარის მანევრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ ჯარის გაწვრთვინათვის მანევრები აუცილებელია. ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის სიმტკიცე წითელი ჯარის გაწვრთნა-მომსაღებავა და მოკიდებული. ამხანაგებო, ამიტომ მოგიწოდებთ მანევრებს ხელი შეუწყოთ.

ამ სიტყვებით განათავა თავისი საუბარი თავმჯდომარემ და ურილობა დასურულად გამოაცხადა.

— ჰო, კარგი, კარგი, მანევრებს ხელს შეუწევით, — ერთხმად დაიგრილა ხალხმა და შინისკენ წასასვლელად მოემხადა.

ოთქის მებინდებული იყო, როდესაც ზატარა გოგი თავისი მამით შინისკენ მიემუბრებოდა. გოგი მამას ვხაზე ეტიკტიკებოდა და წარამბარ აძლედა შეკითხვებს:

— მაძილო, მიამბე უველაფერი, თავმჯდომარე რას კვლანარაკებოდათ?!

— გაიძობ, შვილო, უური დაძიკდე, — უთხრა მაძამ გოგის და ნაბიჯის სიჩქარე შეანელა.

გოგი სქენად გადაიქცა, სულკანაბული მისჩერებოდა მაძამს; მისი ცნობისმოყვარეობა იმდენად განსრულიყო, რომ მოთქმენა აღარ ჰყოფნიდა.

— შვილო გოგი, თავმჯდომარემ გამოგვიცხნა, რომ წითელი ჯარის მანევრები დაიწყება; წითელანძიელები სოფლებზე გამოივლიან და ეოველეკვარი დასმარება გაუწყითო.

— მაძილო, რა არის მანევრები?

— მანევრები ისაა, რომ ჩვენი წითელი ჯარი იწვრთნება და ემსადება ომისათვის.

— ძერე, ომი ვისთან ექნებათ?

— როგორ თუ ვისთან, ვისთან და ბურჯუეთან. ბურჯუასიულ ქვეყნებს ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ მოსწონთ. ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან, ვინაიდან იციან, რომ ეს ხელისუფლება მათ ბატონობას ძირს უთხრის. მათ სურთ მუშათა კლასის გაუკლავსე აავონ თავისი ბედნიერება, მაგრამ მათი დღე დათვლილია. ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასმა გაიმარჯვა და ბურჯუების ბატონობა დაამსხვრია, მაგრამ მოწის არ არის ის დრო, როდესაც სხვა ქვეყნების მუშებიც გაიმარჯვებენ და ბურჯუებს ეირამალა გადაატრიალებენ.

— ძერე, წითელი ჯარის მანევრები აქ რა შუაშია? — შეეკითხა გოგი მაძამს.

— წითელი ჯარი რომ არ იყოს, მაშინ არც საბჭოთა ხელისუფლება იქნებოდა. წითელი ჯარი მშრომელების ინტერესების დამცველია. წითელი ჯარი რომ არ ეოფილიყო, მაშინ ჩვენში ძველებურად მუშათა მუშაობის და კანტალისტების ბატონობა იქნებოდა. წითელი ჯარის მანევრები იმიტომაა საჭირო, რომ ჯარი გაიწვრთნება საბრძოლველად, მოემსადება, კარგად შეისწავლის სამხედრო საქმეს და ბურჯუასიული ქვეყნის ჯარებს გაუმკლავდება.

— მაძილო, ასეთი ძტერი ბევრი ჰყავს საბჭოთა ხელისუფლებას?

— ბეკრი, შვილო, ბეკრი. უური დაბიკდე და ახლავე კიამბობ. მთელ ქვეყანაზე აუარებელი სახელმწიფოა, მაგრამ მთელს ქვეყანაზე რამდენიმე დიდ სახელმწიფოში ბურჯუები ბატონობენ. მათ აუარებელი ხალხი ჰყავთ დამონებული. მთელი ქვეყნის მუშათა კლასის და დანაგრული ხალხების ინტერესების დამცველი სა-



სოფლის მოსახლეობას ესაუბრება წითელ არმიელი.

ბჭოთა კავშირია. ბურჯუებს ამიტომ ევაჯრებათ საბჭოთა კავშირი და ისინი ჩვენს წინააღმდეგ ემზადებიან.

— მაძილო, ახლა კი მივსვდი, რატომ უოფილა საჭირო ჩვენი წითელი ჯარის მოძსადება.

— ჰო, ახლა შვილო, წითელი ჯარი ემზადება მშრომელების შტრეების წინააღმდეგ. შვილო, გუშინ „ახალ სოფელში“ რომ წავიკითხე ჩინეთის რეინის გზის შესახებ, გასსოვს, როგორ გეწეინა ჩინელი უახლეების თავსედური საქციელი!

— მასსოვს.

— ჰოდა, ამიტომაც საჭირო, რომ ჩვენი წითელი ჯარი მოეშხადოს. წითელი ჯარი ჩვენს სოფელსე გამოივლის მანევრების დროს, ასე გამოაცხადა თავმჯდომარემ.

— ო, ნეტავი მართლა ჩვენს სოფელსე გამოივლიდეს. როდის მოვლენ, მაძილო, როდის?

— რამდენიმე დღის შემდეგ, — უთხრა მაძამ ჰატარა გოგის.

მაძამ და შვილმა კიდევაც მიატანეს თავის ქოხამდე.

ახალი დაღამებული იყო, როდესაც ჰატარა გოგი მესობლის ბიჭებს უამბობდა მომავალი მანევრების შესახებ.

ჰატარა გოგი და მისი ამხანაგები დიდის ამბით მოვლიან მანევრებს, და მათ სინარულს სასლვარი არა აქვს. ალ. გორგაძე:





## ბ ა ნ ა კ ა დ ე მ ი კ ა დ ე მ ი ა

დიდი ეზოა სახლის წინ, დიდია მოედანი, რომელზეც მობნეულია ყვითელი ქვიშა. აქ საკროკეტო, კალათბურთის მოედნებია. ეს პიონერთა ბანაკია.

ბანაკში სიჩუმეა. ყველას სძინავს.

გამოიღებენ პიონერი, ათვალღერებს ცას და იმალება.

ბოლოს გამოდის მებუკე. წინამძღოლი აძლევს მას ნიშანს, და მთელს მიდამოში გაისმის ბუკის მკაფიო ხმა.

შენობებიდან გამოვლიან ბიჭები და გოგონები, რომელნიც ყველაზე უმაღლეს ათვალღერებენ.

მიდიან საბანაოდ, მერე ისევ ბანაკისაკენ. საუზმე: კვერცხი, ყავა, თეთრი და შავი პური კარაქით. კარგია!

საუზმის შემდეგ დასვენება... ისევ საშუაოსკენ. ორი რგოლი მარჯვნივ, ერთი—მარცხნივ. ორი რგოლი დღეს მოეხმარება სოფლებს მინდვრად მუშაობაში; ერთი რგოლი გამოდის დღეს შეჯიბრში ადგილობრივ სოფლის პიონერთან. ბანაკში რჩებიან მორიგეები და ავადმყოფები, რომლებიც თამაშობენ „კროკეტს“ და ქადრაკს.

კროკეტის თამაში გამწვავებულა.

მინდორში დგამენ თივის ზვიებს.

ბავშვები ეგობრულად მუშაობენ.

— ერთი, ორი!.. აიღეს!.. უ-უ-უ, გაემგზავრა!..

მოკურავს ზვინები ზვინებზე. აი კიდევ ზვინი, ადამიანის სიმაღლე.

მისი დაძვრა მხოლოდ შეერთებული ძალით შეიძლება.

— კიდევ ერთი!.. უნდა დაიტენოს... ბიჭორ, ფოცხით სჯობს.

იღიმებიან სოფლელი ქალები; ოფლიანი და წამოწითლებული, მუშაობას მიუჩვეველი ბავშვების სახეები ელავს სიხარულით.

შენდება კიდევ ზვინი, ფოცხით თანაბრად შესწორებული.

მოედანზე სიქრელეა: დამწვარი სახეები, მოწითანო-ცისფერი ხალათები. ხალათებითაა ჩვენი გუნდიც; უხალათოდ სოფლელი პიონერები არიან.

შეჯიბრი—ხტომა სიმაღლეზეჯერ 105 სანტიმეტრზე უფრო მაღლა გადახტომა ვერავინ შესძლო. მაგრამ „საუზმეზე“ ორივე რაზმი

დან დატოვებულნი არიან საუკეთესო მხტუნავეები. ბოლოს დგება „საუზმის“ ჯგირი.

— ერთი — 110!.. 120! უჰ, რა მაღლაა!.. 125! მოსწყდა!.. კიდევ ერთი... 125... 127...

მოწითანო-ცისფერი ხალათი — 127 სანტიმეტრზე. მოიგეს!..

დასვენება. სტვენა, შეჯიბრი კალათბურთში.

უკან დაბრუნება.

ბანაობა სადილის წინ. ოთურმა მდინარიდან ბანაკამდე.

სადილი... კაკუნი კოვზების „დამატებითი“ — მოითხოვს ერთი; მეორენი სტოვებენ ულუფასაც (ყველას ვერ მიუხვდები). სადილი დამთავრდა... ძილი.

„მკვდარი საათი“. ბანაკი მიეცა ძილს...

ნახევარმა საათმა გაიარა, დამთავრდა „მკვდარი საათი“. ბუკი!.. რიგი პირსაბანთან...

იქ ისევ ბურთზე ჩაქუჩის კაკუნია კროკეტის მოედანზე. სტვენა კალათბურთზე... სიცილი. ემზადებიან მარწყვის მოსაკრეფად.

იწყება კამათი კალათებისათვის.

— მომეცი ჩემი კალათი!

— აქ არ არის „ჩემი“, ბანაკში ყოველივე საერთოა.

და კამათიც წყდება.

ტყეში ბევრი მარწყვია, ბავშვები სავსე კალათებით ბრუნდებიან.

იკრიბებიან სოფლები ბავშვები. შეერთებული თამაში... სიმღერე-



ბი... საინტერესო მოთხრობების კითხვა.

ბნელდება... შტანგი ვახშმისათვის. ვახშმის შემდეგ — საუბარი და კონცერტი.

დიდი კოცონი. დატრუსული ტუჩები... მაგრამ გემრიელია შემწვარი კარტოფილი. გამურული სახეები. კონცერტი... სიმღერა, ლექსები, ჩონგური. იუმორისტული მოთხრობები.

ოცი წამი აკლია ათს... აქრობენ კოცონს. პირის დაბანა. ძილი...

დაბანაკდენ.

მებუკე ღლის გათავეების ნიშანს იძლევა. ბანაკი ძილს ეძლევა. მყარდება სიჩუმე.

ზაფხულობით ყოველ წელს ასე ისვენებენ პიონერთა რაზმები ბანაკად.

# ჩვენნი სიმღერა

მუს. გრიგოლ კოცლავის,  
სიტყ. ვიორჯი ქობულაძის  
გაბრიელის გამომცემლობა

*Allegretto*

მთვ - ღრ - მთვი ძი - ვი - სე - ჩი - ან

მთვ - ჩი - ვნი გარ - ვს მჩი - ძი - სე

ჩვეს მყარები ე - თად ა - ჩი - ან მვილ - ნი სხვა - ღდა


სხვა ძი - ძი - სე

*volta* *volta*

*Fine*

\*) სიტყვები იხ. ვარდუაანის მეორე ვერსიზე.

## როგორ მივიღეს შინ?



პატარა ზანგს შინ უნდა წასვლა, ყველა გზაზე კი გარეული ცხოველები არიან. მაგრამ მაინც შეიძლება შორიახლოს ჩაუაროს მათ პატარა ბიჭმა, რადგან ზოგი გზა თავისუფალია. მოეხმარეთ პატარა ზანგს, ასწავლეთ უშიშარი გზები.